

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
ახალგაზრდათა სახლფარგარეთელი ბიურო.



ს ა ძ ა რ თ ვ ა ლ ი

დ ა .

0 6 0 3 6 7 7 - ღ 0 8 0 5 6 1 0 0 7 7 0 პ ა რ ტ ი ა

(ტერიფი მესამე)

5 5 0 0 3 0

1 9 2 9

b → d → e) or (d → e)

403

ପରିବାନ୍ତ କାହାର ମଧ୍ୟ ଦେଖିଲୁ କାହାର ମଧ୍ୟ ଦେଖିଲୁ

პარიზში დაარსდა ახალი ჯგუფი, რომელიც თავის თავს «ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას» უწოდებს. გამოიყიდა მისი ბეჭდებითი აღგანცემული სამშობლო. ჯგუფი ებრძება მთლიან ეროვნულ ფრონტს და ამტკიცებს. რომ ქართველ სოციალისტებთან თანამშრომლობა შეუძლებელია.

უმთავრესი დებულება ასეთია: ქართველი ერის იდეალების გამომხატველი იყო მესამრი ციანთა თაობა: შემდევი თაობის იდეალები მას პრინციპიალურად ეწინააღმდეგება. ის უარყოფითია; მას უნდა შევეძროლოთ და დაეუბრუნდეთ ისევ მესამოციანთა დედალებს. «საქმე პგავს ჰეგელისებურ ტრიიადას. რაც ქართულ სინამდვილის მიხედვით ასეთ ფორმულაში ჩამოისხმება: ილია ჭავჭავაძე — კორლანია — ისევ ილია ჭავჭავაძე».

ასეთია პრობლემის ფილოსოფიური გაშუქება, რომელიც, როგორც პრედავთ. არაფერს აშუქებს და ყველაფერს კი აბნელებს მართლა, თუ ჭავჭავაძე არის თეზა, ეორდანია— ანტითეზა, როგორ მოხდა, რომ მესამე აღვილი ტრიადაში დაიჭირა ისევ ჭავჭავაძემ, ე. ი. ისევ თეზამ? რა იქნა სინთეზი? გამოდის ისტორია პრეგას ხან ერთ ფეხშე. ხან მეორეშე და ჰერკეპნის მიწას. სად არის აქ მუდმივი და განუწყვეტელი გაშლა და განვითარება «იდეისა», როგორც ასენა ისტორიის და მსოფლიო ევოლიუციისა? აქ პეტელისებური არაფერია.

რა საკვირველია, ასეთი ფილოსოფიით აღმურვილი ადა-
მიანი სინამდვილეს ვერა პხედავს და ფაქტებს ვერა პხენის.

და როცა ეს ფაქტები ვერ იხრებიან მისი სურვილისამებრ. ვერ ჰლაგდებიან მის ყალბ თეორიაში და აშკარად არღვევენ და უარ პყოლენ მის იდეოლოგიას, იმას გული მოდის, პჯაფრობს და ილანძლება... ლანძლვა არგუმენტაცია პერია.

ჩვენ იმას არ მივბაძავთ: ლანძლვა-გინებაზე პასუხს არ გაეცემთ, ხოლო პრინციპიალური მხარე საჭიროდ მივგაჩნია ცოტათი გავაშუქოთ.

I.

ამისთვის საჭიროა ჯერ მოკლეთ განვიხილოთ ისტორიული პერსპექტივები.

დიდი ხანია, რუსეთი მიიწეოდა სამხრეთისაკენ. ჯერ კავკასიაში მას არ ქინდა ერთი ნაციერი მიწაც, როცა გააბა საქართველოსთან პატარა ბილიკი და დაკირა თბილისი—ნერვიული ცენტრი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა,—და ჯერ საქართველო დაბყრობილიც არ იყო. როცა მედგრად შეეჯახა სპარსეთსა და ოსმალეთს. საქართველო და მასთან მთელი კავკასია ხელში რომ ჩაეგდო ის თავდაპირველად შეეცადა თავიდან მოეშორებინა ყოველი ჩარევა ან გავლენა ამ სახელმწიფოებისა კავკასიაში. ამ მიზნით შეუდგა გარდაუვალი ზღუდის შემორტყმას. პირველი საძირკველი ამ ზღუდისა იყო გულისტანის ხელშეკრულება, დადებული სპარსეთთან 1813 წელს. ეს იყო ხანი საქართველოს თავგანწირული ბრძოლისა რუსეთის ვერაგობის წინააღმრევ. აჯანყება კახეთში, ქართლში, მთიულეთში. ალექსანდრე ბატონიშვილის შემოჭრა სპარსეთის ჯარით... გულისტანის ხელშეკრულობით სპარსეთმა ქედი მოიხარა და დასდო პირობა. რომ ამიერიდან არაეის მისცემდა დახმარებას კავკასიაში. ალექსანდრეს გმირულ ეპოპეიას მოელო ბოლო.

ამ საძირკველს მიემატა ახალი სიმაგრე—თურქმანჩაის ხელშეკრულება, დადებული ისევ სპარსეთთან 1828 წელს. რომლის ძალით რუსეთის საზღვარი გაწეული იქმნა არაქსამ-

დე და რუსეთის ხელში გადავიდა ქასპიის ზღვა მთლიანად. ამ მხრივ კედელი ამოყვანილი იყო, თუმცა ჯერ დაპყრობილი არ იყო არც საქართველო მთლიანად, არც კავკასიია.

უფრო მეტი შრომა და სისხლი შეიწირა იმავე მუშაობამ ოსმალეთის მიმართ. აქაც ამოყვანილ იქმნა საშინელი ზღუდე: ანდრიანოპოლის ხელშეკრულება დადგებული ოსმალეთთან 1829 წელს. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთმა გაიყვანა «თავის საზღვრათ» საქართველოს სამხრეთით, თუმცა საქართველო ჯერ კიდევ იბრძოდა და გურია, სამეგრელო და აფხაზეთი ფორმალურად მაინც თავისუფალი იყვნენ. მით უფრო ჩრდილო კავკასია. მიუხედავად ამ თავისუფლებისა რუსეთმა ხელში ჩაიგდო ეს «თავის საზღვარი» და მთელი სანაპიროები შევი ზღვისა ეჭარიდან მოყოლებული ვიდრე ყუბანამდე.

ეს ზღუდე იყო მართლა გარდაუვლელი, რომლის გადაფრენა ვერ შესძლო ვერავინ. მაშინაც კი, როცა გარემოება ხელს გეიწყობდა. 1856 წელს, პარიზის კონგრესზე, საქართველოზე კრინტიც არ დაძრულა, თუმცა სამეგრელო იყო თავი სუფალი და მთავრის (ეკატერინეს) ზურგის უკან იდგა ისეთი მამელიშვილი, როგორიც იყო ტიმიტრი ყიფიანი. მან ვერ გაპძედა-რა, ან ვერ მოახერხა ვერავერი.

ამ ნაირად საქართველო მოექცა რუსეთის იმპერიალიზმის საბყრობილები. გამოსავალი იყო ერთად ერთი: დანგრევა ამ იმპერიალიზმის... ან თავზე ხელის აღება.

II.

საქართველო თავზე ხელს ვერ აიღებდა...

საქართველო მდებარეობს აზიის და ევროპის შუა, მაგრამ უფრო ვეროპაა, ვიდრე აზია. აქ არ არის რუსეთის სტეპი, არაბეთის უდაბნო, ინდოეთის პიმალაია. აქ სამშუნი არა ჰქრის, მხე არა გწევავს, ზამთარი არა გყინავს. აქ ადამიანიც არ არის დაშინებული და დამონებული ბუნების ძალებით.

აქ ბუნება იცინის, მდინარე მღერის. მთები და კორდი თითქმ
თაიგულია. აქ ადამიანი ახლო არის ბუნებასთან. მისი გული
ლია, მისი გონიერი ფხიშელი. ის არ არის ფატალისტი, ის უფ-
რო აპტიმისტია, ვიდრე პესიმისტი; უფრო მხიარული. ვიდ-
რე დალვრემილი; უფრო მახვილი, ვიდრე ჩლუნგი; უფრო
ზრდილობიანი და პატივისმცემი, ვიდრე უხეში და უდიერი;
უფრო მხნე და გამბდედავი, ვიდრე მშიშარა და მხდალი... მას
უნდა ლხენა, დროს გატარება, გაშლილი ცხოვრება, უნდა
იგემოს ის სიუხვე, რომლითაც სავსეა ბუნებით გაშლილი
სუფრა,—და აქ ის ძმა, მეგობარი, სტუმრის მოყვარე... თუ
აქ ვინმე შემოიჭრები და ხელს შეუშლის, იგი შეეხეთქება
მტერს. ხშირად ხმალი თავისთავად ამოდის ქარქაშიდან, მაგ-
რამ ფხიშელი გონებაც ხშირად ეუბნება: «სადაც არა სჯობს—
გაცლა სჯობს!»—რაც სულ არ პინშნავს ხმლის ხელიდან გა-
გდებას, არამედ მხოლოდ ბრძოლის გადადებას. იქცევა რო-
გორც ისეთი ადამიანი, რომელმაც ქარგად იცის თავის ღონე
და თავის სისუსტეს. ეს ქარგად არის გამოხატული მის ემ-
ბლემაში. ეს ემბლემა არა ჰგავს ჩამ საშიშროებას; არც ჩინე-
თის დრაჟონს. არც რუსეთის არწივს, არც სპარსეთის ლომს:
წმიდა გიორგი—ახალგაზდა შედარი, რომელიც სპორტსმენს
უფრო წააგავს. ვიდრე თავზარდამცემ მეომარს... ქართველიც
ახალგაზდაა, მიუხედავათ მისი ისტორიული «სიბერისა—
მკვირცხლი, მოქნილი და ყოჩალი. ის ციხეშიდაც რომ იყოს,
ვერ ისვენებს. ის ეძებს გამოსავალს.

რა გამოსავალი იპოვა ქართველ ერმა?

III.

ჯერ ეხეთქა შემოჭრილ მტერს. მთელი მეცხრამეტე სა-
უკუნე სავსეა აჯანყებით და მასიური მოძრაობით, რომელიც
თანდათან ჰქცირება და გადადის პიროვნულ თავგანწირვაზე.
უსახელო გმირები თითო-თითოდ ავსებენ ციხეებს ან მიემგ-
ხავრებიან ციმბირში. ქვეყანას ბინდი გადაეკრა, ხალხურ შე-

მოქმედებას გამოყიდვს ასპარეზზე თავისი გმირი «არსენა», რომელიც ეპრეზის რუსებს, სომხებს, მებატონეებს, ყველა დამჩაგერელ და შემხუთველ ძალებს. მაგრამ სჩანს, ხალხი კი დავ დაფოთიალებს და კარგათ ვერ ჰხედავს, თუ სადა ჰდევს სათავე უბედურებისა. აი მაშინ გამოვიდა მესამოციანთა თაობა და გაუწია ერს დაუვიწყარი სამსახური. მან წამოანთო კერა გონიეროვ მოძრაობისა, გაანათა ცხოვრება, დაანახვა ხალხს ის დაბრკოლებანი, რომელიც აღმართული იყვნენ მის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარების გზაზე და ნათლად აგრძნობინა ყველას, რამ ეროვნული განთავისუფლების გარეშე არ არის ხსნა და შევლა. თვით ბუნება ამ მუშაობისა მკვეთრად აყენებდა ტრალიკულ კითხვას: «მერე? რა უნდა მოხდეს კიდე? კიდევ აჯანყება?!».

არ ვიცი, არსებობს თუ არა ეროვნული სული» ან «ეროვნული ინსტიქტი». ალბათ არსებობს რალაც მისტერიული ძალა, რომელსაც ერი მიძყადს ხშირათ ისეთი ვზით. რომელიც ბევრ დამჯდარ გონიერებას შეცდომად და სახიტათოდ მიაჩინია.

სულიერი განცდა მომწიფებული იყო. ქვეყანა სავსე მოგონებით და წარსული დიდების ლანდებით, თავისუფლების პოსტულატი იქრებოდა შეგნებაში თავისთვად, ბუნებრივად. — როცა ვაისმა ახალი სახარება. ამ სახარებას მისი თეორეტიკოსები უწოდებენ სოციალიზმს. საქმე სახელწოდებაში არ არის, არც მის მეცნიერულ კეშმარიტებაში. სოციალიზმი გარდაიქცა რელიგიად, ჩელიგიაში ხალხი კეშმარიტებას კი არ ეძებს. საქმე იმაში კი არ არის თუ რა კეშმარიტება მოიტანა სოციალიზმა. საქმე იმაშია, თუ რა შინაარსი ჩაქსდო მაში ხალხის რწმენამ და მის ქვედა-შეგნებიდან აჭრილ პოსტულატებმა... ეს შინაარსი მარტივია და სადა: ხსნა და განთავისუფლება ხალხმა დაინახა, რომ მისებრ ტანჯული და წამებული სხვებიც ბევრია და შეიძლება მხოლოდ შეერთებული ძალებით იქრიშის მიტანა იქ. სადაც არის ს-თავე მისი უბედურებისა. სოციალიზმს ყოველ ერმა ჩამდერა თავისი სული და მისცა თავისებური ხასიათი: გერმანიაში ჩვენ მი-

ვიღეთ სოციალ-დემოკრატიზმი, ინგლისში—ტრაგიზმი, საფრანგეთში—სინდიკალიზმი, რუსეთში—ბოლშევიზმი, საქართველოშიდაც მოპხდა მისი «გაქართველება»—ხალხმა მას უწოდა «ერთობა».

ამბობენ საქართველოში ერთი ფაბრიკაც არ იყო და მარქსიზმიც იქ მიუღებელი იყო.—საცოდავი მოსაზრებაა! რა მუაშია აქ ან ფაბრიკა, ან მარქსიზმი?! ხალხი იტანჯებოდა: მას ჩამოართვეს მშევნეობი ქვეყანა, აუარებელი სიმდიდრე, მისი მიწა-წყალი დაურიგეს სხვებს, შეუგინეს სარწმუნოება, მოუსპეს განათლება, შეუკრეს საერთაშორისო გზები... ჩავდეს ციხეში და გარს შემოარტყეს გარდაუკლელი ზღუდე. —ნუთუ ეს არ კმარა, რომ თავისუფლების მოყვარე ხალხის ბუხებამ დაიწყოს ინსტიქტიურად ძებნა ხსნისა და განთავისუფლების? ხალხმა ეს ხსნა დაინახა «ერთობაში» და თავის ბეჭიც გადააბა ამ მოძრაობას. შეცდომა იყო? არ ვიცი. მე ვიცი მხოლოდ ფაქტი და ფაქტი კი ასეთია: ქართველი ერი დაეინიებით ჰგწავნიდა სახელმწიფო დუმაში სოც.-დემოკრატ. პარტიის წარმომადგენელს და მერე თვალი მიჰეთილი პქრნ. და პეტერბურგის პორიზონტზე: იქ მიპქონდათ იერიში საიმპერიო ტახტის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ ტახტის დამხობა მოაწავებდა იმპერიალიზმის დამხობას და მაშასაღამე გახეთქეს იმ ზღუდისა, რომელიც ერტყა საქართველოს.

დიდმა ომმა დააჩქარა ეს პროცესი. რუსეთი დაინგრა. ბრძოლის ცენტრი გაღმოვიდა თბილისში.

IV.

1918 წელს, როცა მეტად გამწვავებული იყო მდგომარეობა, ერთი მხრივ გვაწვებოდა ბოლშევკური რუსეთი, მეორე მხრივ ასმალეთი და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება აუცილებელი პხდებოდა. მე ვუთხარი ნ. კორდანიას:

— ეხლა ჩვენს პარტიას უნდა გამოპყვეტ-მეთქი.

— რად გინდათ მე რომ გამოგყვე, თუ ხალხი არ გამოგყვათო? მიპასუხა მან

მომყავს ეს სიტყვა. შეიძლება აქ იყოს გასაღები ბევრი გაუგებრობის.

მართალია, ბევრია მენშევიკი, რომელიც საქმეს სულ სხვანაირად უყურებს. ბევრი პოიქრობს. რომ ცენტრი თვითონ არის და ქვეყანა მის ირგლივ პტრიალებს. იყიქროს, ჩვენ რა? კაცობრიობაც ლიდზანს პოიქრობდა, რომ მიწა დგას და მშე მის ირგლივ პტრიალებს. დედ მენშევიკური შანტეკლერიც დარწმუნებული იყოს, რომ მსე მის ყიყლიყონს ამოკყავს. საქმე იმაში კი არ არის. თუ რას პოიქრობს ეს თუ ის მენშევიკი, როგორია მისი სუბიექტიური განცდა. არამედ იმაში, თუ რა მოხდა ცხოვრებაში. როგორი იყო ობიექტიური პროცესი?

ეხლა, როცა ჩვენ ცოტათი მაინც მოვშორდით ამ ამბებს და განელილი ხანა უკვე შევიდა ახალი თვლებით ისტორიულ ნაქსოვეში, ჩვენ შეგვიძლია მთელ ამ ნაქსოვს თვალი გადავავლოთ და ეხლანდელი მოვლენაც ჩაგეყნოთ ისტორიულ პრესპექტივებში. ეს ჩაგვალეიქრებს.

ბევრი პოიქრობს, რომ ქრისტიანობაშ შექმნა ქართველი ერი, ჯვარი რომ არ ყოფილიყო, ამბობენ, ის გაითქვიფებოდა და წიაშლებოდა მუსულმანურ ზღვაშიო. ეს მართალი არ არის. მართალია მხოლოდ ფაქტი, რომ საქართველო იყო ქრისტიანული ქვეყანა, მაგრამ რეალურად ჯვარს კი არ მიჰქონდა ქვეყანა, ქვეყანას მიქონდა ჯვარი. ქვეყანას ეგონა— ჯვარს ემსახურება, ჯვარი კი ემსახურებოდა ქვეყანას. მუსულმანურ მთვარეს წინ ალუდებოდა ჯვარი, რომლის უკან იდგა ერი, მისი თავისუფლება, მისი მიწა-წყალი. ამ სარწმუნოებრივ იარაღით იბრძოდა ერი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და შეინარჩუნა კიდეც თავისუფლებაც და მიწა-წყალიც. შემდეგ დრო გამოიცვალა, მტრის და მოპირდაპირის ადგილი დაიჭირა ქრისტიანულ რუსეთმა და... ჯვარს წინ ალუდგა ისეთივე ჯვარი, მტერი არ სწანდა. ჩვენს ჯვარსაც დაეკარგა სასწაულთმომქმედი მადლი... საქართველოში სარწმუნოების

დაცემას უფრო ღრმა საფუძველი აქვს. ვიდრე ეს ბევრსა მკონია.

დრო გამოიცვალა კიდევ რუსეთში ჯვარი გადააგდო და ააფრიალა წითელი დროშა. აქ კი ქართველი ხალხი აღმოჩნდა უფრო ფხიშელი და... გადაუხადა: იმანაც ააფრიალა წითელი დროშა! და როცა დადგა საშიშროება, როცა ასი ათასი მშიერი და თავშე ხელალებული ლაშქარი მოპწყდა ოსმალეთის ფრონტს და მოადგა თყილისს, მის წითელ დროშას საქართველომ წინ დაუცენა წითელივე დროშა. თბილისი გადარჩა განადგურებას, ეს იყო დიდი ეროვნული საქმე. თფილისის აკლებით და დაკარგვით რუსები და სომხები არაფერს ჰყარგავდნ, საქართველო კი ჰყარგავდა ყველათერს.

რა ჰყუაა ვიდავოთ მაზე—არის თუ არა ჰერმარიტება ან ჯვარში, ან წითელ დროშაში? დაფასების კრიტერიუმი სულ სხვაგან ჰდება.

V.

თბილის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. აქ არის ნერეიული ცენტრი ორგანიზმისა, რესებმა ეს კარგათ იცოდნენ და პირველად აქ დაარტყეს, რომ დამბლა დასცემოდა საქართველოს დანარჩენ ნაწილებს: ამთავდეს ღინასტია, დაანგრიეს სასახლეები (გადარჩა მხოლოდ ერთი, მეტები, და ისიც საპყრობილეთ გადააქციეს), მიწა დასჭრეს და დაურიგეს უცხოელებს... თბილისი გახდა ციტადელი რუსეთის იმპერიალიაზმის. საჭირო იყო მისი აღება, უამისოდ საქართველო ვერ იცოცხლებდა, როგორც ადამიანი უთავოდ. რა ძალა გექონდა ჩვენ?

დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვალი მოხდა ქალაქის არჩევნები. დაახლოვებით მივიღეთ შემდეგი ხმები: ეროვნულ-დემოკრატიულ სიამ—3500, სომხების სიამ—24.000, სოც. დემოკ. პარტიამ—50.000. —საიდან მოვროვდა ეს 50.000, როცა მთელი ქართველობის რიცხვი (ბავშვებიანად) არ აღემატებო-

და 30.000?! აშენარაა, ამ პარტიამ მიიღო 20.000 მაინც არაქარ-
ოველების, უცხოელების ხმა.

დავით აღმაშენებელს დასჭირდა 20.000 დაქირავებული
უცხოელების ჯარი თბილისის ასალებად. «ერთობამზე კი ეს
20.000 იპოვა თბილისშივე, ერთი კაპეიკი არ დაუხარჯავს,
სისხლი არ დაულვრია,—ქალაქი კი აიღო და ქართველობას
ჩააბარა. ქალაქმაც მაღა მიიღო ქართული სახე, ეს ისტო-
რია, არ უნდა გვემინოდეს სიმართლის თქმისა, ამიერ თბი-
ლისს საქართველოს სუვერენიტეტიდან ვერავინ ამოწრის.

რითი ეწინააღმდეგება ეს გამარჯვება მესამოციანთა
თაობის იდეალებს?

VI.

ეროვნულ ორგანიზმს გაუმრთელდა თავი, იგი გამოცო-
ცხლდა. სისხლის მოძრაობა ამიერ უნდა ყოფილიყო უფრო
მშეიღობიანი და სიცოცხლის მყოფელი. მაგრამ რა მშეიღო-
ბიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ირგლივ ირყევა დე-
დამიწა, ჰდელავს ცხოვრების ოქეანე, ტალღა ტალღაზე გადა-
დის? მსჯულიო ომი ჯერ არ იყო გათავებული, სამხრეთით
ჯერ კიდევ სცემდა მისი ტალღა, ჩრდილოეთით რუსეთის
რევოლუცია მოაგორებდა უფრო საშინელ წეირთებს. განა
შესაძლებელი იყო, რომ საქართველოს ტბას შერჩენოდა სარ-
კესავით სწორი და შეურსეველი წედაპირი? რა საქვირეელია,
იყო ექსცესები... მაგრამ საქმე ამაში არ არი. საქმე იმაშია, რა
გზით წავიდა ხალხი ამ გაჭირვების დროს? ვის მიკმართა მან?
სად ეგულებოდა შესაძლებელი სსნა და შეელა? მიკმართა
ისევ «ერთობას».

საყოველთაო არჩევნებში სოციალ-დემოკრატიამ მიი-
ღო 600.000 ხმა. საიდან მოეიდა ეს საშინელი რიცხვი? ნუთუ
ეს სასწაული მოახდინა «გალატაკებულმა აზნაურიაბამი» ან
შეიძლება ეს შედეგია იმ გარემოების, რომ სოციალიზმა ქა-
რთულ მესტებში წაპყო ტეხი? საცოდავი მოსაწრებაა. რომე-

ლიც ვერაფერს პხსნის და ვერაფერსაც ვერ ახსნის. დავით სარაჯიშვილი არ იყო არც ლატაკი, არც მესტებიანი, ის იყო განათლებული კაპიტალისტი, პირადი მეგობარი იღია ჭავჭავაძის, ხმას კი ყოველ არჩევნებში გამუდმებით აძლევდა მეწევიებს და არც პმალავდა ამას. კოტე აფხაზი არ იყო არც ლატაკი, არც მესტებიანი, ის იყო მარშალი და ერთ დროს ჩევნი პარტიის თავმჯდომარეც. მაგრამ მთელი ქონება თავად-აზნაურობისა გადასცა სახელმწიფოს, თუმცა იცოდა, რომ მთავრობა იყო მეწევიკური... სჩანს, სულ სხვა მოტივები ამოქმედებდა ამ პირთ და არა მარქსის თეორია.

მერე რამდენი იყო ასეთი? ათასი, ათი ათასი, თითქმის მთელი ერი. ჩავუკვირდეთ ციფრებს. მეწევიკურ ორგანიზაციას მყავდა (თუ არა ვცდები) 18.000 წევრი. ვთქვათ, თითქვალ წევრმა არჩევნების დროს მოიყვანა კიდევ შუა რიცხვით ხუთხუთი კაცი. ჯამი მაინც არ აღემატება 100.000. საიდან მოვიდა დანარჩენი ნახვარი მილიონი ხმა? ნუთუ მთელი ხალხი, მთელი გლეხობა, კაცი და დედა-კაცი, სულ მარქსისტები იყვნენ? ნუთუ ყველამ შეისწავლა თეორია დამატებითი ლირებულობის ან ექისტენციური მინიმუმისა?.. არა, ეს სისულელეა. ხალხის მოძრაობის მიზეზი უფრო ღრმადა პრეცესი: ის უნდა ვეძიოთ არა სოციალურ იდეოლოგიაში, არამედ ეროვნულ პსიქოლოგიაში. ხალხი გაიტაცა არა სოციალისტურმა დოქტრინამ, რომლის მას არაფერი გაეგებოდა, არამედ მისივე გულის ნადებმა:—თავისუფლების წყურვილმა და იმ ეროვნულ ლირსების ახმაურებამ, რომელიც ჩაქსოვილი იყო მის გულში თვითონ ბუნებით და წარსულ საუკუნოებით... ხსნა ისევ «ერთობაში» დაინახა ე. ი. მთელი ერის შეერთებულ მოძრაობაში თავისუფლების მოსაპოებლად.

ამან თავის ნაყოფიც გამოილო: მოხდა საყოველთაო არჩევნები, რომელიც არადროს არ მომხდარა; დაარსდა საქართველოს რესპუბლიკა, რაც არა დროს არა ყოფილა; გაერთიანდა მთელი საქართველო, რასაც არ ქვინია დაგილი თამარ-მეფის შემდეგ,—და ეს საქართველო შევიდა საერთაშორისო განწყობილებაში: ააყრევინა რუსეთს შემორტყმული

ზღვდე და თვით ცნობილი იქმნა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

რითი ეწინააღმდეგება ეს გამარჯვება სამოციანთა თაობის იდეალებს?.. დევ მენშევიკური შანტეკლერი პფიქრობ დეს, რომ მხე მის ყიყლიყომ ამოიყვანა... ჩვენ ხომ ვიცით რომ სულ ეს იყო შედეგი ეროვნული ბრძოლის და შემოქმედებისა? ეს ისტორიაა, ქართველი ერის ისტორიაა, ეინ გაპბედავს მის წაშლას ან უარყოფას?!

VII.

სამწუხაროდ ამასაც ჰქონდავთ. «სამშობლო» სწეოს: «მენშევიკებმა ერი კი არ გამოაცხადეს სახელმწიფოდ, არამედ პარტიით».

თუ ეს პოეტური სტილია, სჯობია ავტორმა ამისთანა სტილი თავისთვის შეიძახოს და გარედ არ გამოაჩინოს; თუ ეს სერიოზული სიტუაა, ის ეწინააღმდეგება ფაქტს, მაშასა-დამე არის სიცრუე ცოველ ქართველს ალბად ზეპირად ახ-სოეს ის ისტორიული აქტი. რომელსაც პქვიან «დამოუკიდებლობის დეკლარაცია». პირველი მუხლი აცხადებს: «ამიერი-დან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო». ეს არის პარტიის სახელმწიფო და გამოცხადება!?

ეს დეკლარაცია ერთხმად იყო მიღებული და დამტკი-ცებული დამფუძნებელი კრების მიერ, მაშასადამე ის არის არა აქტი რომელიმე პარტიის, არამედ აქტი ეროვნული ნე-ბისყოფისა.

დევ ბოლშევიკებმა იყვირონ. რომ საქართველოში იყო მხოლოდ ბრძოლა მეორე და მესამე ინტერნაციონალის. პყვი-რიინ კიდეც. კარგად იციან, რომ ბევრია გულუბრყვილო ხა-ლხი, რომელიც ადეილად აყვება მათ ფეხის ხმას. მართლა. თუ «სახელმწიფოდ იყო გამოცხადებული პარტია და არა ერი», მაშინ სახელმწიფოც არა ყოფილა, და თუ სახელმწიფო

არ იყო, მაშინ რაღა უნდა ვუსაყვედუროთ რუსეთს?! სად არის მაშინ მისი საერთაშორისო დანაშაული?! სად არის შელახვა საქართველოს სუვერენულ უფლებათა?! რამ აღაშფოთა მთელი განათლებული კაცობრიობა?!

აი ამაზეა ნათქვამი: «ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, პირველად ტვინს გამოაცლისა».

VIII.

ასეთი «ლეთის გაწყრომა» სამწუხაროდ ხშირია, მეტად-რე ჩვენს ყოფაში. უკულმართმა მდგომარეობამ გაამწვავა შე-გნება ბევრი მამულიშეიღისა. ამ სიმწვავეში ბევრი გულ-წროტელად ეძებს ქვეყნის ხსნის ახალ მეთოდებს და სწორ გზებს. ზნეობრივი სიმაღლე მოტივებისა ეჭვის გარეშეა, მა-გრამ, სამწუხაროდ ბევრი ვერ პწედება ისტორიით დაყენე-ბულ პრიმორებას, ვერა პშორდება კლასობრივ პსიქოლო-გიას და ვერ გაუგია ნამდვილი შინაარსი ისტორიული პრო-ცესისა.

აი რასა სწერს «სამშობლო»: «მთავრობამ ომიც წააგო, ტერიტორიაც დაპყარგა... მთავრობას რომ ნახევრად წაეგო საქმე, ის მთლიანად დაემსობოდა. მთავრობამ მთლიანად წა-აგო საქმე და ნახევრად დარჩა! მან თავისი თავი არ გააუქმა და სახლვარგარედ ეროვნული მთავრობის სახელით წამო-ვიდა».

აი ნიმუში აზრის არევ-დარევისა. ომის წაგება თურმე მთავრობის დამარცხება ყოფილა და არა ერის; ტერიტორიის დაყარგვა თურმე მთავრობის დამხობა ყოფილა და არა დამ-ხობა სახელმწიფოსი... აეტორს სრულებით ეკარგება თვალსა-ზრისიდან ეროვნული მომენტი: გაურბის თავიდან, როგორც მუჭიდან ვერცხლის წყალი.

ყალბი დემულებიდან დასკვნაც რასაკვირველია ყალბი გამოდის: ის ურჩევს მთავრობას არა ბრძოლის გაგრძელებას,

არამედ... თავის თავისვე გაუქმებას ე. ი. დეზერტირობას და
 დალატს!..

აი მართლა თავდაყირა დაყენება ყოველი შემეცნების:
 უფლების და მორალის, ვალობულების და სინიდისის.

IX.

დავასკენათ. ეს ახალი ჯგუფი, რომელიც თავის თავს
 ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას», ეძახის, არც ეროვნუ-
 ლია, არც დემოკრატიული.

ის არ არის ეროვნული, რადგანაც უარს პყოფს ეროვ-
 ნულ მომენტს ისტორიულ პროცესის დაფასებაში და შეაქვს
 განხეთქილება ქართველობაში; ის არ არის დემოკრატიული,
 რადგანაც «დემოსი» იმას მხოლოდ თავის თავი პგრნია და
 არა ერი; არა აქეს პატივისცემა ეროვნული ნებისყოფის და
 პირთაპირ ებრძვის ჩვენი კონსტიტუციის აღდგენას, თუმცა
 იცის. რომ კონსტიტუციის აღდგენა პირზეა ეროვნული სუ-
 ვერენობის აღდგენას.

ამისთანა 『პარტია』 ჩვენთვის ახალია. იმას წარსული
 არა აქვს, მომავალიც არ ექნება.

გოლოვანი გვაწავა.



F 21.921
2

40